

**ქირალური სულფოქსიდების ენანტიომერების დაყოფა ცელულოზას ქლორმეთილ-
ჩანაცვლებული ტრისფენილკარბამატებით მაღალეფექტურ სითხურ
ქრომატოგრაფიაში**

ნათია შაშვიაშვილი, ხელმძღვანელი ბეჟან ჭანკვეტაძე

ელ-ფოსტა: natia.shashviashvili@ens.tsu.edu.ge

ფიზიკური და ანალიზური ქიმიის
დეპარტემენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი,
საქართველო.

ჩვენ ვსწავლობთ ახლად სინთეზირებული ქირალური სულფოქსიდების დაყოფას ცელულოზას ტრისფენილკარბამატების გამოყენებით მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფიაში. ქირალური სულფოქსიდების და სელექტორების სტრუქტურის სისტემატური ცვლილებით ის ნივთიერებები და სვეტები გამოიყო რომლებიც ხასიათდებიან მაღალი სელექტიურობითა და დაყოფის მაღალი ფაქტორით. ამ პრეზენტაციაში წარმოდგენილია მხოლოდ ქლორ-მეთილ- ჩანაცვლებული ქირალური სელექტორები და მათი ცვლილებით გამოვლენილი კანონზომიერებები.

ჩვენს ექსპერიმენტში გამოვიყენეთ მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფი.

საანალიზო ნივთიერებები: ქირალური სულფოქსიდები

ქირალური სელექტორები: ცელულოზა-2 და ცელულოზა-4

მოდრავ ფაზები: მეთანოლი, ეთანოლი, იზოპროპანოლი, ჰექსანი და ჰექსან-
იზოპროპანოლის ნარევი სხვადასხვა თანაფარდობით.

ქირალური სელექტორის, სულფოქსიდების და მოძრავი ფაზის ცვლილებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ენანტიოსელექტივობაზე.

საკვანძო სიტყვები: ქირალური სელექტორი, ქირალური სულფოქსიდი, მოძრავი ფაზა